საქართველოს პარლამენტის აპარატსა და
საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. თბილისი 3 მაისი, 2018 წელი

საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომში „პარლამენტის აპარატი"), წარმოდგენილი პარლამენტის აპარატის უფროსის, გივი მიქანაძის სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში „ცენტრი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ხათუნა კასრაძის სახით (შემდგომში „მხარეები"), პარლამენტის აპარატისა და ცენტრის ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია სამართლის პოპულარიზაციისა და სასწავლო,საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიმართულებით ერთობლივი პროგრამების, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1. აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების ორგანიზება; საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო პროექტების განხორციელება;

3.2. ტრენერებისა და ექსპერტების ჩართვის უზრუნველყოფა მხარეთა მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში;

3.3. ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას);

3.4. თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერა;

3.5. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;

3.6. სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლებამოსილებანი

მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები (მატერიალური და ადამიანური რესურსი) კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისათვის;

5. ფორსმაჟორი

მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნეს განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ამასთან, ამ მხარემ მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით;

6.2. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამავე მემორანდუმით დადგენილი მიზნების გათვალისწინებითა და მათთვის უპირატესობის მინიჭების გზით.

6.3. მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი სახით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.4. წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6.5. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

7. კომუნიკაციის ფორმა. მემორანდუმის ეგზემპლარები

7.1 მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

7.2 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

გივი მიქანაძე

პარლამენტის აპარატის უფროსი

_____

რუსთაველის გამზირი #8 თბილისი,
საქართველო ტელ: 032 2 28 26 24
ვებგვერდი: www.parliament.ge
ელფოსტა: contact@parliament.ge

ხათუნა კასრაძე

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი

_____

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #1 თბილისი,
საქართველო
ტელ: (+995 032) 294 22 46
ვებგვერდ: www.tcj.gov.ge
ელფოსტა: trainingcenter@tcj.gov.ge